



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020113243330220

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/2932

28 / მაისი / 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინებთ სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბროლისქედია მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩხარი-აჯამეთის მანგანუმის საბადოზე, ქალცედონისა და სპონგოლიტის შესწავლა-მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 280-310 მეტრის სიმაღლეზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბროლისქედის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.


ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფიქრობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.


გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. ტოპ. რუკა - 1 გვ. Shape ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																																				
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – ჩხარი-აჯამეთის მანგანუმის საბადო, აჯამეთის ქალცედონისა და სპონგოლიტის საბადო (უბანი ბროლისქედი)																																				
2	გენეტიკური ტიპი – დანალექი, ორგანოგენული																																				
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – მეტალურგიული ნედლეული																																				
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																																				
4.1	რეგიონი – იმერეთი																																				
4.2	მუნიციპალიტეტი – თერჯოლა																																				
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფელი ბროლისქედი																																				
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. ქუთაისიდან 12 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით																																				
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან – აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																																				
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ყვირილას აუზი																																				
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები – <table border="1" data-bbox="284 786 708 1149"> <thead> <tr> <th>№</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td>1</td><td>320052,0000</td><td>4677953,0000</td></tr> <tr><td>2</td><td>320072,0000</td><td>4677765,0000</td></tr> <tr><td>3</td><td>319248,0000</td><td>4677158,0000</td></tr> <tr><td>4</td><td>319248,0000</td><td>4677472,0000</td></tr> <tr><td>5</td><td>319429,5047</td><td>4677571,7276</td></tr> <tr><td>6</td><td>319795,8567</td><td>4677879,2649</td></tr> <tr><td>7</td><td>319823,0000</td><td>4677851,0000</td></tr> <tr><td>8</td><td>320019,3299</td><td>4678043,3901</td></tr> <tr><td>9</td><td>320008,7991</td><td>4677978,9472</td></tr> <tr> <td colspan="2" style="text-align: center;">S = 237940 კვ.მ.</td> <td></td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	№	X	Y	1	320052,0000	4677953,0000	2	320072,0000	4677765,0000	3	319248,0000	4677158,0000	4	319248,0000	4677472,0000	5	319429,5047	4677571,7276	6	319795,8567	4677879,2649	7	319823,0000	4677851,0000	8	320019,3299	4678043,3901	9	320008,7991	4677978,9472	S = 237940 კვ.მ.			WGS 1984		
№	X	Y																																			
1	320052,0000	4677953,0000																																			
2	320072,0000	4677765,0000																																			
3	319248,0000	4677158,0000																																			
4	319248,0000	4677472,0000																																			
5	319429,5047	4677571,7276																																			
6	319795,8567	4677879,2649																																			
7	319823,0000	4677851,0000																																			
8	320019,3299	4678043,3901																																			
9	320008,7991	4677978,9472																																			
S = 237940 კვ.მ.																																					
WGS 1984																																					
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 280-310 მ																																				
4.9	კლიმატური პირობები – ნოტიო სუბტროპიკული. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1276 მმ, საშუალო წლიური ტემპერატურა – +14,5 ⁰ C.																																				
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																																				
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – მოიცავს გრუნტის გზას (მუნიციპალიტეტის ბალანსი)																																				
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან –																																				
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –																																				
5.4	დამატებითი მონაცემები –																																				
6	სატყეო რესურსები																																				
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება																																				
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება																																				
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –																																				
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																																				
7.1	ტექტონიკური დარაიონება – ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქის ცენტრალური აზეგების ზონა, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონა, ოკრიბის ბლოკი.																																				
7.2	გეოლოგიური აგებულება – საბადოს რაიონი აგებულია ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ნალექებით. ყველაზე ძველია ზედა ცარცული ნალექები, რომლებიც რაიონის ჩრდილო ნაწილშია გაფრცვლებული. ჭრილი იწყება სენომანის მსხვილმარცვლოვანი გლაუკონიტის ქვიშაქვებით და კირქვებით. მათზე განლაგებულია ტურონ-სენონის „მთავარის“ წყების ვულკანოგენურ-დანალექი ქანები – ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფები, ტუფობრექჩიები, თიხები, თიხიანი ქვიშაქვები და მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები. მათზე თანხმობით არის განლაგებული ტურონ-სენონის კირქვები, კაუსის კონკრეციების ჩანართებით. ისინი ასევე თანხმობით იცვლება დანიური ასაკის მასიური, ზოგან შრეებრივი კირქვებით. წყების ქვედა და ზედა ნაწილებში გვხვდება შავი ფერის კაუსის ჩანართები. აღნიშნულ ნალექებს თანხმობით																																				

	მოყვება მერგელიანი კირქვები. მათზე ტრანსგრესიულად არის განლაგებული ეოცენური ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებით, ქვიშიანი მერგელებით, მერგელიანი კირქვებითა და მერგელებით. ოლიგოცენური ნალექები ასევე ტრანსგრესიულად არის განლაგებული შუა ეოცენური ნალექების სხვადასხვა პორიზონტებზე და წარმოდგენილია არკოზულ-გრაუვაკული ქვიშაქვებით, ფიქლებრივი თიხებით, მანგანუმის ფენებით, სპონგოლიტიანი ქვიშაქვები, ქალცედონის შრეებით. შუამიოცენური ნალექები აგებულია ქვიშიანი მერგელებით, ნიჟარებიანი კირქვებით, მერგელიანი კირქვებით. მათ თანხმობით მოყვება ქვედა სარმატული თიხიანი და თიხიან-ქვიშიანი მერგელები, მერგელიანი კირქვები და წვრილმარცვლოვანი კვარცა-ალევიტური ქვიშაქვები. მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური ნალექებით აგებულია მდინარეთა ტერასები.
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება (სტრატиграფია, ლითოლოგია, პიდროგეოლოგია და სხვ.) – სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს აჯამეთის საბადოს ბროლისქედის უბნის ტერიტორიაზე. პროდუქტიული წყება დაკავშირებულია ოლიგოცენურ ნალექებთან და აგებულია სპონგოლიტიანი ქვიშაქვებით და ქალცედონის შრეებით, მანგანუმის ფენებით. წყება იყოფა ორ პორიზონტად. ქვედა პორიზონტი წარმოდგენილია ფორიანი, მსუბუქი, რბილი, ღია ნაცრისფერი, სპონგოლიტიანი ქვიშაქვებით, ზედა პორიზონტი – ძლიერ გაკაჟებული სპონგოლიტიანი ქვიშაქვებით. ქანი არაერთგვაროვანი, ფორიანია, თეთრი, ზოგან მოყვითალო ფერის. შედგება სპიკულებისაგან, რომლებიც თითქმის მთლიანად არის ჩანაცვლებული ქალცედონით. მინერალოგიურად ქანი წარმოდგენილია ქალცედონით, ოპალით, ქარსით, ქლორიტითა და რკინის უნებებით. ქალცედონი წარმოადგენს მთავარ კომპონენტს, იშვიათად აღინიშნება ოპალი. გაკაჟებული სპონგოლიტის ზედა ნაწილში ქალცედონი ქმნის ლინზისებურ, ფენობრივ ბუდობებს. შრეთა სიმძლავრე და განლაგება არამდგრადია, როგორც მიმართებაზე, ასევე დაქანებაზე. ისინი გადაშრეებულია გაკაჟებული სპონგოლიტის შრეებთან, ხშირად ისოლება. დაფიქსირებულია ძირითადად სამი შრე, რომელთა სიმძლავრე 0,1-დან 2,0 მ-დე იცვლება. ქალცედონი სხვადასხვა ფერისაა, ძირითადად – მოყვითალო-ყავისფერი, მოყვითალო-ცისფერი და მოწითალო-ყვითელი ფერის. მანგანუმიანი პორიზონტი დაკავშირებულია ოლიგოცენის ქვედა დონეებთან, წარმოდგენილია პირველადი უნგულა და კარბონატული-უნგულა მადნებით. პირველადი უნგულა მადნები განლაგებულია პორიზონტის ქვედა ნაწილში (ბაზალურ კონგლომერატებზე), ხოლო ზედა ნაწილში განლაგებულია კარბონატული-უნგულა მადნები.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გაერცვლება (მიმართებით და დაქანებით) – ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – ქალცედონის შრეთა სიმძლავრე 0,1-დან 2,0 მ-დე იცვლება.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – დაქანების აზიმუტი – სამხრეთ-აღმოსავლეთი 120-140°, დაქანების კუთხე – 10-30°.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – აჯამეთის ქალცედონისა და სპონგოლიტის საბადო დაძიებულია დეტალურად, ხოლო ჩხარი-აჯამეთის მანგანუმის საბადოზე ჩატარებულია წინასწარი ძიება.
9.2	საძიებო სამუშაოები – გაყვანილია ჭაბურღილები, შურფები, მაგისტრალური თხრილები, განაწმენდები და საცდელი კარიერები.
9.3	დასინჯვა – აღებულია დარული, კერნული სინჯები, აგრეთვე სინჯები ქიმიური ანალიზისათვის და პეტროგრაფიული კვლევისათვის.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – ქალცედონი სხვადასხვა ფერისაა, ძირითადად – მოყვითალო-ყავისფერი, მოყვითალო-ცისფერი და მოწითალო-ყვითელი ფერის. კრიპტოკრისტალური სტრუქტურით, ზოგან შენარჩუნებულია სპონგოლიტის რელიქტური სტრუქტურა. მანგანუმიანი მადნები წარმოდგენილია პირველადი უნგულა, კარბონატული და დაუნგული მადნებით. მთავარი მადნიანი მინერალებია პიროლუზიტი, ვერნიდიტი და ლიმონიტი.
9.5	პიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – მანგანუმი და ქალცედონი – მეტალურგიულ წარმოებაში; სპონგოლიტი – ნედლეული სილიკატური აგურის დასამზადებლად
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) – წინასწარი ძიება (მანგანუმი), დეტალური ძიება (ქალცედონი, სპონგოლიტი)
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – 237940 მ ²

10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 237940 მ ² , საშუალო სიმაღლე – 0,5 მ, მოც. წონა – 2,20, სპონგოლიტი – 5 მ.
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საშუალო არითმეტიკული
10.5	<p>წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C₁+C₂ და P) – სალიცენზიო ობიექტზე ქალცედონის მარაგებია:</p> <p>A კატეგორია – 169785 x 0,5 = 84893 მ³; ტონებში – 84893 x 2,2 = <u>186764</u> ტ;</p> <p>B კატეგორია – 9280 x 0,5 = 4640 მ³; ტონებში – 4640 x 2,2 = <u>10208</u> ტ;</p> <p>A+B – 89533 მ³; ტონებში – <u>196972</u> ტ;</p> <p>გაკაუებული სპონგოლიტის მარაგები:</p> <p>A კატეგორია – 29305 x 5 = 146525 მ³;</p> <p>B კატეგორია – 183180 x 5 = 915900 მ³;</p> <p>A+B – <u>1062425</u> მ³.</p> <p>ჩხარი-აჯამეთის საბადოს ბროლისქედის უბანზე მანგანუმის მარაგები არ არის დათვლილი.</p>
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები –
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელი.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია – გამომუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი, ქალცედონი, სპონგოლიტი) მდებარეობს იმერეთის გორაკ-ბორცვიან ზონაში, რომელიც წარმოადგენს, მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეს, ასევე მდ. ჭიშურას მარცხენა ფერდს. აღნიშნული ტერიტორია მოიცავს ბროლისქედის (აბს. 384,1 მ) სერის, სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიულ თხემურ და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის, საშუალოდ – 13-15 ⁰ დახრილობის მქონე ფერდის ფრაგმენტს. ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება სტრუქტურულ-ეროზიული რელიეფით. ობიექტის ტერიტორია ნაწილობრივ შემოსილია ბუჩქნარით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – ობიექტის ტერიტორია აგებულია ზედა ცარცული და ეოცენური ასაკის კირქვებით, მერგელოვანი კირქვებით და ქვიშაქვებით, აგრეთვე ოლიგოცენური სექციის მანგანუმიანი ქვიშაქვებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრემის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – წიაღითსარგებლობის ობიექტზე გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა –
12.6	<p>დასკვნები და რეკომენდაციები –</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (მანგანუმი, ქალცედონი, სპონგოლიტი) მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბროლისქედის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. გამომდინარე ობიექტის ფართობის სიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება; 4. წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორიაზე ფიქსირდება (ქალცედონისა და სპონგოლიტის საბადოზე მისასვლელი) საკარიერო გრუნტის გზა; 5. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვა; 6. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან

	7. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3, 4, 5 და 6) გათვალისწინებით, წიაღისეულის შესწავლა – მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – 1. დ. თავაძე და სხვ.; 2. ვ. თაბაგარი; გ. წულუკიძე
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1. 1949 წ.; 2. 1966 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 1. №6537; 2. №11863

შემსრულებლები:

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, ზ. ბერიაშვილი, ნ. ბებია, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი

